თასი

“გროსმეისტერული” ტაიმი

თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “პიშჩევიკის” მატჩს კვლავ დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

სრულ 6 საათზე დაიწყო თამაში. თბილისელებმა ტაიმის პირველ წუთებში განავითარეს სწრაფი იერიში მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედანზე და შესძლეს რამდენიმე ძლიერად დარტყმული ბურთის გაგზავნა მოწინააღმდეგეთა კარში, მაგრამ დამცველთა, კერძოდ კი მეკარის ენერგიულმა თამაშმა არ მისცა მათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. მხოლოდ ტაიმის მე-15 წუთზე პაიჭაძეს მიეცა ერთადერთი შესაძლებლობა გარღვევაზე გასულიყო ცენტრიდან, რომელიც დაგვირგვინდა გოლით. ამის შემდეგ თბილისელებმა კიდევ უფრო მოადუნეს თამაში. გუნდის რჩეული მოთამაშეებიც კი (ფროლოვი, ჯეჯელავა და პაიჭაძე) სუსტნი იყვნენ. 40-ე წუთზე ფროლოვის შეცდომა უნაკლოდ გამოიყენა “პიშჩევიკის” თავდამსხმელთა ცენტრალურმა სამეულმა და გაათანაბრა ანგარიში.

პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ – 1:1.

შეჯიბრების მეორე ნახევარში თბილისელებმა ვერ შესძლეს მდგომარეობის რადიკალურად გამოსწორება. მართალია მათ ჰქონდათ შედარებით უპირატესობა, მაგრამ ბურთის ხშირი ტარებით და კარში არაზუსტი დარტყმით კარგავდნენ უდაო შესაძლებლობას. მე-19 წუთამდე მოწინააღდეგეებმა გაიტანეს თითო ბურთი და შეთანხმდნენ “გროსმეისტერულ” ტაიმზე. მატჩი დამთავრდა ფრედ – 2:2.

სრულიად გაუგებარი მიზეზებისა გამო მატჩი, რომელიც უნდა გადათამაშებულიყო ამავე დღეს, არ შედგა. სტადიონის ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო მაყურებლებისათვის ეცნობებინა თამაშის გადადების მიზეზი, ან როდის ჩატარდებოდა განმეორებით შეხვედრა, რაც არანორმალურად უნდა ჩაითვალოს.

თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “პიშჩევიკის” განმეორებითი მატჩი სსრკ თასზე ჩატარდება დღეს ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე.

შეჯიბრება დაიწყება 5 საათსა და 30 წუთზე.

ვ. გ–ლია.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 9 აგვისტო, 1939 წ.